ქ.ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაზე, მოქალაქე დავით ღურჭუმალიძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქ.ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ქ.ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაში მცხოვრები მოქალაქე დავით ღურჭუმალიძის წარმომადგენლის თეიმურაზ ჩიტაიშვილის განცხადება /2012 წ. 08.06 Nჩ–4562/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N27 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ.ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე დავით ღურჭუმალიძეს.

2. ქ.ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/ ქ.ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N27 ბინაზე /საერთო ფართობი 45,87 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 26,11 კვ.მ. დამხმარე ფართობი 19,76 კვ.მ./, მოქალაქე დავით ღურჭუმალიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი                                        გ.თევდორაძე